

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნ.ორაგველიძის**ანგარიშის მოსმენის სხდომის****29. 01.2018 წ**

ოქმი

13 საათი

თავმჯდომარეობდა: გიორგი ღურჯუმელიძე-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

ესწრებოდნენ:საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, ფრაქცია „ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“ თავმჯდომარე შ.გოგიბერიძე.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე გ.ღურჯუმელიძე მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს -აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, განაცხადა, რომ ნ.ორაგველიძე არის საკრებულოს უხუცესი და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე საკრებულოს წევრი, იგი აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა, ნ.ორაგველიძემ, საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ასევე ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის, საანგარიშო პერიოდში მის მიერ ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ ნ.ორაგველიძე მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს

მომავალ საქმიანობაში. საკრებულოს ფრაქცია „ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“ თავმჯდომარემ შ.გოგიბერიძემ აღნიშნა, რომ ნ.ორაგველიძე საკრებულოს სამაგალითო წევრია, საინტერესო იყო მისი წინადადებები მუნიციპალიტეტების დეცენტრალიზაციისა და მომავალი ეკონომიკური განვითარების თაობაზე, წარმოდგენილი ანგარიში შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, მისი აზრი გაიზიარეს კოლეგებმა დ.მამალაძემ და ლ.მგელაძემ.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე გ.ღურჯუმელიძე, აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობდა რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის გ.ღურჯუმელიძის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად. (დანართი-ანგარიში-თან ერთვის 4-ფურცლად)

გიორგი ღურჯუმელიძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო